

ერთობლივი განცხადება განზრახვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა

და

გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროს შორის

თანამშრომლობის თაობაზე

თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და საქმიანობის მიზნით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტრო

- ესწრაფვიან რა, რომ კიდევ უფრო განავითარონ ჩვენი ქვეყნების ხალხებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობები, მათ შორის, განათლების სფეროში,
- ეყრდნობიან რა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის დარგში თანამშრომლობის შესახებ 1993 წლის 25 ივნისის შეთანხმების მე-15 მუხლს,
- ითვალისწინებენ რა ფედერალური მხარეების განათლებისა და კულტურის მინისტრთა კონფერენციის მიერ გერმანულენოვანი სკოლისა (შემდგომში „სკოლა“) და მისი ატესტატების, როგორც საზღვარგარეთის გერმანულ სკოლად აღიარებისთვის დაწესებული კრიტერიუმების დაცვის აუცილებლობას, ასევე
- საქართველოში გერმანულენოვანი სკოლის არსებობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომელიც ღია იქნება ნებისმიერი მოქალაქეობის მქონე მოსწავლისათვის, რომელსაც სურვილი ექნება, რომ ქართული მხარის სასწავლო გეგმასთან შეჯერებული გერმანული სასწავლო გეგმის საფუძველზე მიიღოს განათლება გერმანულ ენაზე,
- სურათ რა, რომ გაარკვიონ და ურთიერთშეთანხმებით შეიმუშაონ გერმანული და ქართული სასწავლო გეგმების შეჯერების ყველა შინაარსობრივი საკითხი აუცილებელი ქართული საგნების სასწავლო გეგმაში გათვალისწინების კუთხით, რათა შეიქმნას წინაპირობები, სკოლის ატესტატების საქართველოში აღიარებისათვის

გამოხატავენ თავიანთ ნებას იმასთან დაკავშირებით, რომ

- თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაარსებით ისინი წველილს შეიტანენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობების გაღრმავებისა და ასევე ორივე ქვეყნის ისტორიისა და კულტურის ურთიერთგაცნობის საქმეში,
- ხელს შეუწყობენ სკოლის დაარსებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მის ლიცენზირებას, სკოლის სტატუსის მოპოვების პროცედურის შესრულებასა და მის შემდგომ გამართულ ფუნქციონირებას.

- მხარეები იხელმძღვანელებენ შემდეგი პრინციპებით:

1. თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა ფუნქციონირებას დაიწყო 2010/2011 სასწავლო წელს. სკოლაში იქნება - განაცხადების რაოდენობის შესაბამისად - დაწყებითი სკოლის პირველი კლასები. ყოველ სასწავლო წელს ეტაპობრივად დაემატება მომდევნო ახალი კლასი და 12 სასწავლო წლის გავლის შემდეგ მოსწავლეები მიიღებენ სიმწიფის ატესტატს. ეს ატესტატი უფლებას ანიჭებს სკოლა დამთავრებულებს სწავლა გააგრძელონ საქართველოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში.
2. სკოლა იქნება სასწავლო დაწესებულება, რომელიც წვლილს შეიტანს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის არსებული კულტურული ურთიერთობების გაღრმავების და ორივე ქვეყნის ისტორიისა და კულტურის ურთიერთგაცნობის საქმეში, განამტკიცებს კავშირებს ქართველ და გერმანელ ხალხებს შორის განათლების სფეროში და შესაბამისად ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ რამოდენიმე ენის დაუფლებას.
3. სკოლამ უნდა მოიცვას გერმანული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სკოლის ფორმები. გაკვეთილები ჩატარდება უმეტესწილად გერმანულ ენაზე, თიურინგიის ფედერალური მხარის სასწავლო გეგმისა და პროგრამის საფუძველზე.

ამავდროულად სკოლამ უნდა განახორციელოს პროგრამა, რომლის სასწავლო გეგმაშიც ინტეგრირებული იქნება ეროვნული საგნობრივ პროგრამა. გაკვეთილებს ეროვნული საგნობრივი ჯგუფების შესაბამისი პროგრამის მიხედვით, რამდენადაც შინაარსობრივად არსებობს ამის აუცილებლობა, ჩატარებენ ქართველი მასწავლებლები ქართულ ენაზე. მოსწავლეებისთვის, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, დასწრება იმ გაკვეთილებზე, რომლებიც ქართულ ენაზე ტარდება, ფაკულტატიური იქნება.
4. სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მიერ რამოდენიმე ენის დაუფლებას. გერმანული და ქართული ენების, როგორც პირველი და მეორე ენის პარალელურად, დაწყებითი სკოლის პირველი კლასიდან მესამე ენად უნდა ისწავლებოდეს ინგლისური ენა. მაღალ კლასებში სკოლამ უნდა შექმნას ფრანგული და/ან სხვა მსოფლიო ენის, როგორც უცხო ენის შესწავლის შესაძლებლობა.
5. სკოლაში მიღებისას პირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვებს გერმანიის და საქართველოს მოქალაქეობით, ასევე მესამე გერმანულენოვანი სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე ბავშვებს, რომლებსაც უკვე აქვთ გერმანული ენის ცოდნის ის დონე, რომელიც საკმარისია შესაბამისი კლასის პროგრამის დასაძლევად. სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ბავშვები მიიღებიან იმ შემთხვევაში, თუკი ისინი სკოლის კავშირის მიერ დადგენილ, სკოლაში მოსწავლეთა მიღების მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ და თუკი სკოლას ექნება თავისუფალი ადგილები.
6. სკოლა იმუშავებს სკოლაში შემოტანილი გადასახადების, სკოლის კავშირის საწევრო გადასახადების, შემოწირულობებისა და ადგილობრივ თუ უცხოელ სპონსორთა დაფინანსების ხარჯზე. აუცილებელი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში სკოლას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მიიღოს სუბსიდიები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან.

7. იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს სკოლის მოთხოვნები, სკოლის კავშირს უფლება ექნება, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოგზავნილ და მის დაფინანსებაზე მყოფ მასწავლებლებთან ერთად ასევე აიყვანოს სხვა მასწავლებლები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, საქართველოდან, ან სხვა მესამე ქვეყნიდან.

მასწავლებლების აყვანა უნდა მოხდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით.

8. სკოლამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ გამოიყოს სტიპენდიები ნიჭიერი მოსწავლეებისთვის, რათა გამოვლინდეს გერმანულ-ქართული კულტურული დიალოგის სკოლის ხასიათი და ხელი შეეწყოს ქართველ მოსწავლეთა მიღებას სკოლაში.

9. ქართულ მხარეს განზრახული აქვს სკოლის მოსწავლეთა უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით.


10. ყველა დანარჩენი საკითხი, რომელიც ეხება შეღავათებს სკოლის დაარსებისა და საქმიანობის პროცესში, უნდა დარეგულირდეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანიის მთავრობას შორის კულტურის დარგში თანამშრომლობის შესახებ 1993 წლის 25 ივნისის შეთანხმების მე-15 მუხლის დებულებების შესაბამისად და ასევე საქართველოს მთავრობასა და გერმანიის მთავრობას შორის კულტურის დარგში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დანართზე დაყრდნობით.


11. იმ შემთხვევაში, თუკი წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობის პროცესში ადგილი ექნება აზრთა სხვადასხვაობას თანამშრომლობის სახესა და ფორმასთან დაკავშირებით, მაშინ სადავო საკითხები უნდა მოგვარდეს ურთიერთშეთანხმების გზით.

12. თანამშრომლობა წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე იწყება მემორანდუმის ხელმოწერით.

წინამდებარე ერთობლივი განცხადება განზრახვის შესახებ შედგენილია ორ პირად, ქართულ და გერმანულ ენებზე. ხელმოწერა შესრულდება ორივე პირზე.

თბილისი, 2010 წლის 16 ივნისი


საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს
სახელით


გერმანიის საბარძო სამხმეთა
ფედერალური სამინისტროს
სახელით